# საქართველოს მთავრობის

# დადგენილება №496

2019 წლის 21 ოქტომბერი

ქ. თბილისი

## „საქართველოს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების ნუმერაციის ეროვნული სისტემის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 18 ნოემბრის №355 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

**მუხლი 1**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების ნუმერაციის ეროვნული სისტემის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 18 ნოემბრის №355 დადგენილებაში (სსმ, 154, 25/11/2010) შეტანილ იქნეს ცვლილება და დანართ №3-ის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით, ხოლო მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ნუმერაციის ახალი სისტემა ითვალისწინებს საგანგებო (ექსტრემალური) სამსახურების შემდეგ უნიფიცირებულ ერთიან სამნიშნა სპეციალურ მოკლე ნომრებს: სახანძრო-სამაშველო სამსახურის ერთიანი სამნიშნა ნომერი – 111, საგანგებო სიტუაციებში გადაუდებელი დახმარების გამოძახების ერთიანი სამნიშნა ევრონომერი – 112, სასწრაფო სამედიცინო დახმარების ერთიანი სამნიშნა ნომერი – 113, გაზის საავარიო სამსახურის ერთიანი სამნიშნა ნომერი – 114, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის ერთიანი სამნიშნა ნომერი – 122, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ერთიანი სამნიშნა ნომერი – 123, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის პოლიციის ერთიანი სამნიშნა ნომერი – 125, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის ერთიანი სამნიშნა ნომერი – 126, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ერთიანი სამნიშნა ნომერი – 153 და სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ერთიანი სამნიშნა ნომერი –199.“.

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი გიორგი გახარია

### 1 XX (XXX) ფორმატის მოკლე ნომრები (კოდები)

1 XX (XXX) ფორმატის მოკლე ნომრების (კოდების) პირველი და მეორე ციფრები

| | № | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 1 | | სახანძრო-სამაშველო სამსახური | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს რეზერვი | საავტომ. ტრანსპორტის მოძრავი ტექ. დახმარება | საქართველოს პარლამენტი | საქართველოს მთავრობა | | | | |

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | |
| | 2 | | გადაუდებელი დახმარების ევრონომერი | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი | ტაქსის გამოძახება | აჭარის და აფხაზეთის (დროებით ქ.თბილისში) ა.რ. უმაღლესი საბჭოები | 1525<br>ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ - აწარმოე საქართველოში<br>1520-1524, 1526-1529<br>საქართველოს მთავრობის რეზერვი | | | | |
| | 3 | | სასწრაფო სამედიცინო დახმარება | საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური | ტრანსპორტის ( აეროპორტები, ავტოსადგურები, რკინიგზის სადგურები, საზღვაო პორტები, ადგილობრივი საზოგადოებრივი ტრანსპორტის) მოძრაობის საინფორმაციო - საცნობარო სამსახურები | აჭარის და აფხაზეთის (დროებით ქ.თბილისში) ა.რ.-ების მთავრობა | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაც-ვითი ზედამხედვე-ლობის დეპარტამენტი | | | | |
| | 4 | | გაზის საავარიო სამსახური | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს რეზერვი | რეზერვი | საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ერთიანი საინფორმაციო სამსახური (რეზერვი) | საქართველოს მთავრობის რეზერვი | | | რეზერვი | |
| | | | | | | | | | | | |

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 XX (XXX) ფორმატის მოკლე ნომრების ( კოდების) მესამე ციფრი | 5 | საოპერატორო კომპანიების არჩევის პრეფიქსული კოდი | კომუნალური მეურნეობის ( ელექტრომომარაგება, წყალმომარაგება, სანიაღვრე მეურნეობა) საავარიო სამსახურები | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი | რეზერვი | აჭარის და აფხაზეთის (დროებით ქ.თბილისში) ა.რ.-ების სამინისტროები | საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საფინანსო-ანალიტიკური სამსახური და შემოსავლების სამსახური | მოკლე | მოკლე ნომრები | | რეზერვი | |
| | 6 | | საზოგადოებრივი მომსახურება ( ევრონომერი) | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექცია ( დეპარტამენტი) | რეზერვი | სახელმწიფო რწმუნებულების ადმინისტრაციები | | | | | | |
| | 7 | | საქართველოს მთავრობის რეზერვი | 1270-1271- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს რეზერვი | რეზერვი | საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ-ები: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, იუსტიციის სახლი | | | | | | |
| | | | | 1272 - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ „ მომსახურების სააგენტოს“ ცხელი ხაზი | | | | | | | | |
| | | | | 1273-1279 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს რეზერვი | | | | | | | | |

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | ნომრები არაავტორიზე-ბადი საქმიანო-ბისათვის | ავტორიზებადი საქმიანობი-სათვის | | |
| | 8 | | გაერთიანებ. საინფორმ-საცნობარო ( ევრონომერი) | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს რეზერვი | რეზერვი | 1480 სსიპ - საპენსიო სააგენტო | საქართველოს მთავრობის რეზერვი | | | საფოსტო კავშ. ოპერატორების საინფორმაციო სამსახური | |
| | | | | | | 1481 საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი | | | | | |
| | | | | | | 1482 საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტი | | | | | |
| | | | | | | 1483 საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ „ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო“ | | | | | |
| | | | | | | 1484 | | | | | |

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, რომელიც დროებით, 2 წლის ვადით, გადასცემს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ სსიპ - 112-ს ავტოსატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ინსპექტირების რეფორმის ცხელი ხაზისთვის | | | | | |
| | | | | | | 1485-1489<br><br>საქართველოს მთავრობის რეზერვი | | | | | |
| | 9 | | ელექტრონული კომუნიკაციების საოპერატორო კომპანიების სამსახურების რეზერვი | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს რეზერვი | რეზერვი | 1490-1498<br><br>საქართველოს მთავრობის რეზერვი | | | | რეზერვი | სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური |
| | | | | | | 1499<br><br>საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის<br><br>სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი | | | | | |

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 10 | | ელექტრონული კომუნიკაციების საოპერატორო კომპანიების საავარიო და საინფორმაციო-საცნობარო სამსახური | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს რეზერვი | ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ცხელი ხაზები | საქართველოს სამინისტროები | საქართველოს სამინისტროები | | | | რეზერვი |